სახელმწიფო კონტროლის განხორციელება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე - მოქმედი მოდელი და საერთაშორისო გამოცდილება

მარიამი ხურცილავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

საჯარო სამართალი და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: კახაბერ გოშაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამი ხურცილავა

04.06.2023 წელი *ხელმოწერა* _ _ _ _ _ _ _ _ _ _

აბსტრაქტი

ციფრული ტრანსფორმაციის ეპოქაში, სადაც რთულია ინფორმაციათა ცირკულაციის კონტროლი, ყოველდღე აქტუალური ხდება პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების კანონიერების მაკონტროლებელ ორგანოთა საქმიანობა.

წინამდებარე ნაშრომის ძირითადი საკითხია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროს რეგულირების კონტროლის არსისა და მიზნის კვლევა, რის საფუძველზეც ნათლად წარმოჩნდება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანოს - როლი და მისია.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მაკონტროლებელი ორგანოს განვითარებისა და დახვეწის სამომავლო პერსპექტივებზე. გამომდინარე იქედან, რომ საქართველო ცდილობს ფეხი აუწყოს ევროპულ სტანდარტებს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, როგორც ყველა სხვა მიმართულებით, ისე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ნაწილში განხორციელდეს მკვეთრი დაახლოება და ევროკავშირის მოთხოვნების სრულად გათვალისწინება ზედამხედველობის მხრივ.

ნაშრომში განხილულია, როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო დონეზე არსებული გამოცდილება, განხორციელებული რეფორმები და რეალობა, რომელიც ეხება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლს.

კვლევა დაფუძნებულია, როგორც ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვაზე, ასევე საკანონმდებლო ბაზის ანალიზისა და შედარებით-სამართლებრივ განხილვაზე, გარდა ამისა, ნაშრომში შესაბამისი ადგილი უკავია კვლევის ისტორიულ მეთოდსაც. აღნიშნულის საფუძველზე, გამოვლინდება, თუ რამდენად შესაბამისობაშია ერთმანეთთან ქართული და საერთაშორისო კანონმდებლობა, მონაცემთა დაცვის სახელმწიფო ზედამხედველობის ნაწილში, ასევე, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას არსებული კანონმდებლობის დასახვეწად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი, მაკონტროლებელი ორგანო, პერსონალურ მონაცემთა დაცვა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური.

Abstract

In the era of digital transformation, where it is difficult to control the circulation of information, the activities of the bodies controlling the legality of personal data protection and processing become relevant every day.

The main issue of the present paper is the research of the essence and purpose of the control of the regulation of the field of personal data protection, based on which the role and mission of the state body controlling personal data processing will be clearly seen.

In the work, special attention is focused on the future prospects of the development and refinement of the personal data processing control body. Due to the fact that Georgia is trying to catch up with European standards, it is vitally important, both in all other directions, and in the area of personal data protection, to make a sharp convergence and fully take into account the requirements of the European Union in terms of supervision.

The paper discusses the experience, the implemented reforms and the reality related to the control of the legality of personal data processing, both at the Georgian and international level.

The research is based on the review of national and international judicial practice, as well as on the analysis of the legal framework and comparative legal discussion, in addition, the historical research method has an appropriate place in the work. On the basis of the mentioned, it will be revealed to what extent the Georgian and international legislation are compatible with each other, in the part of the state supervision of data protection, as well as what steps should be taken to improve the existing legislation.

Key search words: control of the legality of personal data processing, supervisory body, personal data protection, personal data protection service.